თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 37

„07“ ივნისი 2016 წელი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ივლისის №73 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში მითითებულ ქონებაზე საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 10%-მდე, ხოლო თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 აპრილის №23 განკარგულებით დამტკიცებულ, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (ს/კოდი 53.16.34.015) საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 15%-მდე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი*

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასური

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 42 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 500 ლარი (ს/კოდი №53.05.38.016, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 5000 ლარი);
2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 26,8 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 187.6 ლარი (ს/კოდი №53.07.43.034, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 1876 ლარი);
3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 65,3 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 450 ლარი (ს/კოდი №53.09.37.030, კულტსახლის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 4500 ლარი);
4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 47 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 300 ლარი (ს/კოდი №53.12.36.026, საბავშვო ბაღის საქვაბე, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 3000 ლარი);
5. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 41,4 კვ.მ შენობა - ნაგებობა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 260 ლარი (ს/კოდი №53.12.36.026, დამხმარე შენობა -ნაგებობა, პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 2600 ლარი).
6. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, №1 შენობა - ნაგებობა (ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა) ფართი 820 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 1800 ლარი, №2 შენობა - ნაგებობა (საბავშვო ბაღის საქვაბე) ფართი 34.6 კვ.მ საწყისი საპრივატიზები ღირებულება 105 ლარი (ს/კოდი №53.16.34.015 №1 შენობა - ნაგებობა ფართი 820 კვ.მ პირველი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 12 000 ლარი, №2 შენობა - ნაგებობა ფართი 34.6 კვ.მ პირველი საწყისი საპრივატიზები ღირებულება 700 ლარი).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი